აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარება, პროფესიული ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

### 17.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

**პროგრამის მიზანი**: სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

**პროგრამის აღწერა**: პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქცირუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში ბავშვების სხვადასხვა სოფლიდან ტრანსპორტირება.

## მუხლი 18. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მიერ, ასევე ამავე სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ის მიერ.

### 18.1. სპორტის სფეროს განვითარება

**პროგრამის მიზანი**: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია.

**პროგრამის აღწერა**: პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება-პოპულარიზაციას, ასაკობრივი გუნდების მზადებასა და მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების აღდგენა, მშენებლობა. მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა.

პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე,

საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარებასა და სპორტსმენთა მივლინებას საერთაშორისო ტურნირებზე; ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება.

მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზებზე და სხვა.

18.2. კულტურის სფეროს განვითარება

**პროგრამის მიზანი**: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება.

**პროგრამის აღწერა**: პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურული საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორიცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობა, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება და სხვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება კულტურის სფეროს დაწესებულებები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, მუზეუმი, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლები, ხელოვნებს სკოლები და სხვა.

მუხლი 19. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომლებიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველი ფენის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ჯანდაცვისა და მომსახურების სერვისზე.

19.1. ჯანმრთელობის დაცვა

**პროგრამის მიზანი**: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით;

**პროგრამის აღწერა**: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა დკსჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და

პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და "C" ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება და სხვა...

19.2. სოციალური დაცვა

**პროგრამის მიზანი**: მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

**პროგრამის აღწერა**: სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისათვის (მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები) სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება. გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობის მიზნით არასამეწარმეო იურიდიული პირების პროექტების დაფინანსება;

სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგის სახის ქვეპროგრამები:

**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები**

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა სახის დახმარებას, ზამთრის თბობის სეზონზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას.

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა**

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალური დახმარების ხარჯებს.

**უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფას.

**ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა**

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის ღონისძიებების განსახორციელება.

**სარიტუალო ხარჯი**

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიდი სამამულო ომის ვეტერანების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სარიტუალო ხარჯებს.

## თავი III

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ასიგნებები

მუხლი 20. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| ორგანიზაციული (პროგრამული) კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 11,780.2 | 114.9 | 11,665.3 | 16,159.9 | 5,728.7 | 10,431.2 | 23,949.2 | 10,712.1 | 13,237.1 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 153.0 | | 153.0 | 128.0 | | 128.0 | 128.0 | | 128.0 |
| | ხარჯები | 6,959.1 | | 6,959.1 | 7,478.4 | 25.0 | 7,453.4 | 9,462.1 | 1,117.1 | 8,345.1 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,332.2 | | 1,332.2 | 1,427.2 | | 1,427.2 | 1,715.0 | | 1,715.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,678.7 | 114.9 | 4,563.8 | 8,530.8 | 5,703.7 | 2,827.1 | 14,279.0 | 9,595.0 | 4,684.0 |
| | ვალდებულებების კლება | 142.4 | | 142.4 | 150.7 | | 150.7 | 208.0 | | 208.0 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2,269.1 | | 2,269.1 | 2,519.8 | | 2,519.8 | 3,167.3 | | 3,167.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 142.0 | | 142.0 | 122.0 | | 122.0 | 122.0 | | 122.0 |
| | ხარჯები | 2,080.9 | | 2,080.9 | 2,246.4 | | 2,246.4 | 2,599.9 | | 2,599.9 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,211.9 | | 1,211.9 | 1,358.2 | | 1,358.2 | 1,640.0 | | 1,640.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 186.0 | | 186.0 | 263.4 | | 263.4 | 359.4 | | 359.4 |
| | ვალდებულებების კლება | 2.1 | | 2.1 | 10.0 | | 10.0 | 208.0 | | 208.0 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 487.3 | | 487.3 | 630.9 | | 630.9 | 704.3 | | 704.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 13.0 | | 13.0 | 26.0 | | 26.0 | 26.0 | | 26.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| | ხარჯები | 485.3 | | 485.3 | 583.4 | | 583.4 | 606.8 | | 606.8 |
| | შრომის ანაზღაურება | 308.0 | | 308.0 | 386.6 | | 386.6 | 410.0 | | 410.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.9 | | 1.9 | 47.5 | | 47.5 | 97.5 | | 97.5 |
| 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 1,781.8 | | 1,781.8 | 1,803.9 | | 1,803.9 | 2,098.5 | | 2,098.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 129.0 | | 129.0 | 96.0 | | 96.0 | 96.0 | | 96.0 |
| | ხარჯები | 1,595.6 | | 1,595.6 | 1,588.0 | | 1,588.0 | 1,836.6 | | 1,836.6 |
| | შრომის ანაზღაურება | 903.9 | | 903.9 | 971.6 | | 971.6 | 1,230.0 | | 1,230.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 184.1 | | 184.1 | 215.9 | | 215.9 | 261.9 | | 261.9 |
| | ვალდებულებების კლება | 2.1 | | 2.1 | | | | | | |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | | | | 75.0 | | 75.0 | 80.0 | | 80.0 |
| | ხარჯები | | | | 75.0 | | 75.0 | 80.0 | | 80.0 |
| 01 04 | წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | | | | 10.0 | | 10.0 | 10.0 | | 10.0 |
| | ვალდებულებების კლება | | | | 10.0 | | 10.0 | 10.0 | | 10.0 |
| 01 05 | თანამშრომელთა გადამზადების ხარჯი | | | | | | | 20.0 | | 20.0 |
| | ხარჯები | | | | | | | 20.0 | | 20.0 |
| 01 06 | სასესხო ვალდებულებების დაფარვა | | | | | | | 254.500 | | 254.500 |
| | ხარჯები | | | | | | | 56.500 | | 56.500 |
| | ვალდებულებების კლება | | | | | | | 198.0 | | 198.0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და | 93.0 | | 93.0 | 109.2 | | 109.2 | 102.0 | | 102.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უსაფრთხოება | | | | | | | | | |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 11.0 | | 11.0 | 6.0 | | 6.0 | 6.0 | | 6.0 |
| | ხარჯები | 91.9 | | 91.9 | 109.2 | | 109.2 | 102.0 | | 102.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 58.1 | | 58.1 | 69.0 | | 69.0 | 75.0 | | 75.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.1 | | 1.1 | | | | | | |
| 02 01 | საგანგებო სიტუაციების მართვა | | | | | | | | | |
| | ხარჯები | | | | | | | | | |
| | შრომის ანაზღაურება | | | | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | | | | | | | |
| 02 03 | ქვეყნის თვდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 93.0 | | 93.0 | 109.2 | | 109.2 | 102.0 | | 102.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 11.0 | | 11.0 | 6.0 | | 6.0 | 6.0 | | 6.0 |
| | ხარჯები | 91.9 | | 91.9 | 109.2 | | 109.2 | 102.0 | | 102.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 58.1 | | 58.1 | 69.0 | | 69.0 | 75.0 | | 75.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.1 | | 1.1 | | | | | | |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 4,961.9 | 114.9 | 4,847.0 | 9,496.2 | 5,398.9 | 4,097.3 | 11,533.629 | 6,242.8 | 5,290.9 |
| | ხარჯები | 1,212.4 | | 1,212.4 | 1,605.0 | | 1,605.0 | 1,832.2 | 240.0 | 1,592.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,609.3 | 114.9 | 3,494.4 | 7,750.5 | 5,398.9 | 2,351.6 | 9,701.4 | 6,002.8 | 3,698.6 |
| | ვალდებულებების კლება | 140.2 | | 140.2 | 140.7 | | 140.7 | | | |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2,588.1 | | 2,588.1 | 4,242.0 | 3,404.6 | 837.4 | 6,084.7 | 4,299.7 | 1,785.0 |
| | ხარჯები | 23.5 | | 23.5 | 21.5 | | 21.5 | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,501.7 | | 2,501.7 | 4,157.5 | 3,404.6 | 752.9 | 6,084.7 | 4,299.7 | 1,785.0 |
| | ვალდებულებების კლება | 62.9 | | 62.9 | 63.0 | | 63.0 | | | |
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 2,143.8 | | 2,143.8 | 4,895.6 | 1,994.3 | 2,901.3 | 4,079.1 | 1,013.1 | 3,066.0 |
| | ხარჯები | 1,123.2 | | 1,123.2 | 1,583.5 | | 1,583.5 | 1,555.0 | | 1,555.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 943.2 | | 943.2 | 3,234.4 | 1,994.3 | 1,240.1 | 2,524.1 | 1,013.1 | 1,511.0 |
| | ვალდებულებების კლება | 77.4 | | 77.4 | 77.7 | | 77.7 | | | |
| 03 02 02 | წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები | 609.5 | | 609.5 | 697.3 | 217.6 | 479.7 | 835.1 | 127.1 | 708.0 |
| | ხარჯები | 132.7 | | 132.7 | 32.8 | | 32.8 | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 399.4 | | 399.4 | 586.8 | 217.6 | 369.2 | 835.1 | 127.1 | 708.0 |
| | ვალდებულებების კლება | 77.4 | | 77.4 | 77.7 | | 77.7 | | | |
| 03 02 03 | გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები | 785.4 | | 785.4 | 747.4 | | 747.4 | 772.0 | | 772.0 |
| | ხარჯები | 578.9 | | 578.9 | 681.4 | | 681.4 | 550.0 | | 550.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 206.6 | | 206.6 | 66.0 | | 66.0 | 222.0 | | 222.0 |
| | ვალდებულებების კლება | | | | | | | | | |
| 03 02 04 | გარემოს დაცვითი ღონისძიებები | 411.6 | | 411.6 | 617.0 | | 617.0 | 400.0 | | 400.0 |
| | ხარჯები | 411.6 | | 411.6 | 109.0 | | 109.0 | 10.0 | | 10.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | | 508.0 | | 508.0 | 390.0 | | 390.0 |
| 03 02 05 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 337.3 | | 337.3 | 2,073.6 | 1,776.7 | 296.9 | 1,077.0 | 886.0 | 191.0 |
| | არაფინანსური | 337.3 | | 337.3 | 2,073.6 | 1,776.7 | 296.9 | 1,077.0 | 886.0 | 191.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აქტივების ზრდა | | | | | | | | | |
| 03 02 06 | ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვისცენტრი | | | | 760.300 | | 760.300 | 995.000 | | 995.000 |
| | ხარჯები | | | | 760.3 | | 760.3 | 995.0 | | 995.0 |
| 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 115.2 | | 115.2 | 358.6 | | 358.6 | 80.0 | | 80.0 |
| | ხარჯები | 65.7 | | 65.7 | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 49.5 | | 49.5 | 358.6 | | 358.6 | 80.0 | | 80.0 |
| 03 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 114.9 | 114.9 | | | | | 1,289.9 | 930.0 | 359.9 |
| | ხარჯები | | | | | | | 277.2 | 240.0 | 37.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 114.9 | 114.9 | | | | | 1,012.6 | 690.0 | 322.6 |
| 04 00 | განათლება | 2,333.8 | | 2,333.8 | 2,332.0 | 304.8 | 2,027.2 | 5,041.8 | 2,474.1 | 2,567.7 |
| | ხარჯები | 1,602.7 | | 1,602.7 | 1,860.1 | | 1,860.1 | 2,966.3 | 877.1 | 2,089.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 731.1 | | 731.1 | 471.9 | 304.8 | 167.1 | 2,075.4 | 1,597.0 | 478.4 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 2,258.3 | | 2,258.3 | 1,850.0 | | 1,850.0 | 4,164.7 | 1,597.0 | 2,567.7 |
| | ხარჯები | 1,527.1 | | 1,527.1 | 1,850.0 | | 1,850.0 | 2,089.3 | | 2,089.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 731.1 | | 731.1 | | | | 2,075.4 | 1,597.0 | 478.4 |
| 04 02 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | | | | 471.916 | 304.816 | 167.100 | 877.070 | 877.070 | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | | 471.916 | 304.816 | 167.100 | 877.070 | 877.070 | |
| 04 03 | პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 75.5 | | 75.5 | 10.1 | | 10.1 | | | |
| | ხარჯები | 75.5 | | 75.5 | 10.1 | | 10.1 | | | |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 1,440.1 | | 1,440.1 | 1,040.0 | | 1,040.0 | 1,301.1 | | 1,301.1 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 1,301.9 | | 1,301.9 | 995.0 | | 995.0 | 1,199.0 | | 1,199.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 51.2 | | 51.2 | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 138.2 | | 138.2 | 45.0 | | 45.0 | 102.1 | | 102.1 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 1,186.3 | | 1,186.3 | 762.2 | | 762.2 | 1,047.1 | | 1,047.1 |
| | ხარჯები | 1,076.8 | | 1,076.8 | 717.2 | | 717.2 | 945.0 | | 945.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 41.7 | | 41.7 | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 109.5 | | 109.5 | 45.0 | | 45.0 | 102.1 | | 102.1 |
| 05 01 01 | სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 646.4 | | 646.4 | 717.2 | | 717.2 | 945.0 | | 945.0 |
| | ხარჯები | 607.2 | | 607.2 | 717.2 | | 717.2 | 945.0 | | 945.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 41.7 | | 41.7 | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 39.1 | | 39.1 | | | | | | |
| 05 01 02 | სპორტული ობიექტების კაპიტალური | 539.9 | | 539.9 | 45.0 | | 45.0 | 102.1 | | 102.1 |
| | ხარჯები | 469.5 | | 469.5 | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 70.4 | | 70.4 | 45.0 | | 45.0 | 102.1 | | 102.1 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 223.8 | | 223.8 | 247.8 | | 247.8 | 224.0 | | 224.0 |
| | ხარჯები | 195.1 | | 195.1 | 247.8 | | 247.8 | 224.0 | | 224.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 9.5 | | 9.5 | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 28.7 | | 28.7 | | | | | | |
| 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 221.6 | | 221.6 | 234.8 | | 234.8 | 194.0 | | 194.0 |
| | ხარჯები | 192.9 | | 192.9 | 234.8 | | 234.8 | 194.0 | | 194.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 9.5 | | 9.5 | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 28.7 | | 28.7 | | | | | | |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 2.2 | | 2.2 | 13.0 | | 13.0 | 30.0 | | 30.0 |
| | ხარჯები | 2.2 | | 2.2 | 13.0 | | 13.0 | 30.0 | | 30.0 |
| 05 03 | ტელერადიო მომსახურება, საგამომცემლო საქმიანობა | | | | | | | | | |
| | ხარჯები | | | | | | | | | |
| 05 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 30.0 | | 30.0 | 30.0 | | 30.0 | 30.0 | | 30.0 |
| | ხარჯები | 30.0 | | 30.0 | 30.0 | | 30.0 | 30.0 | | 30.0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 682.3 | | 682.3 | 662.6 | 25.0 | 637.6 | 2,803.3 | 1,995.2 | 808.1 |
| | ხარჯები | 669.4 | | 669.4 | 662.6 | 25.0 | 637.6 | 762.7 | | 762.7 |
| | შრომის ანაზღაურება | 11.0 | | 11.0 | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12.9 | | 12.9 | | | | 2,040.6 | 1,995.2 | 45.4 |
| 06 01 | ჯანდაცვის პროგრამები | 131.2 | | 131.2 | 106.0 | | 106.0 | 633.6 | 445.2 | 188.4 |
| | ხარჯები | 118.3 | | 118.3 | 106.0 | | 106.0 | 143.0 | | 143.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 11.0 | | 11.0 | | | | | | |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12.9 | | 12.9 | | | | 490.6 | 445.2 | 45.4 |
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 551.1 | | 551.1 | 556.6 | 25.0 | 531.6 | 2,169.7 | 1,550.0 | 619.7 |
| | ხარჯები | 551.1 | | 551.1 | 556.6 | 25.0 | 531.6 | 619.7 | | 619.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | | | | | 1,550.0 | 1,550.0 | |
| 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 26.7 | | 26.7 | 35.9 | | 35.9 | 41.9 | | 41.9 |
| | ხარჯები | 26.7 | | 26.7 | 35.9 | | 35.9 | 41.9 | | 41.9 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 02 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება | 322.0 | | 322.0 | 310.7 | 25.0 | 285.7 | 1,882.3 | 1,550.0 | 332.3 |
| | ხარჯები | 322.0 | | 322.0 | 310.7 | 25.0 | 285.7 | 332.3 | | 332.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | | | | | 1,550.0 | 1,550.0 | |
| 06 02 03 | უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება | 85.9 | | 85.9 | 90.0 | | 90.0 | 110.0 | | 110.0 |
| | ხარჯები | 85.9 | | 85.9 | 90.0 | | 90.0 | 110.0 | | 110.0 |
| 06 02 04 | ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური დაცვა | 114.7 | | 114.7 | 115.0 | | 115.0 | 130.5 | | 130.5 |
| | ხარჯები | 114.7 | | 114.7 | 115.0 | | 115.0 | 130.5 | | 130.5 |
| 06 02 05 | სარიტუალო ხარჯები | 1.8 | | 1.8 | 5.0 | | 5.0 | 5.0 | | 5.0 |
| | ხარჯები | 1.8 | | 1.8 | 5.0 | | 5.0 | 5.0 | | 5.0 |

## თავი IV

## მარეგულირებელი ნორმები

**მუხლი 21.**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

**მუხლი 22.**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

**მუხლი 23.**

2019 წლის განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 24.**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების

შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 25.**

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი კვარტალის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 26.**

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

**მუხლი 27.**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

**მუხლი 28.**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 220,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 116,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 102,0 ათასი ლარი;

გ) მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯები – 2,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 29.**

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 80,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

## თავი V

**მუხლი 30.**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.